ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხი გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 337. კვირა, 26 ივნისი 1911 წ. დამატების № 59

„ხალხი გაზეთისთვის“ ხაგანგებოდ დახატული.



დ. ზ. ხარაგიშვილი კუბოში, სურ. კ. ქავთარაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრობა

(დრამა 4 მოქმედებად)

(შემდეგი *)

არჩილ. ექვთიმე, შენ როგორლაც შიში გეტყობა... სულ აქეთ-იქით იყურები—ცოლი არ წამომადგეს თავსაო!..

ექვთიმე. ხე-ხე-ხე... არა, მაგრამ... (აქეთ-იქით იყურება).

არჩილ. არა-კი არა—ჰო!.. ეს ღმერთმა აცოცხლოს ჩვენი მეგობრები, ჩვენი ცოლების საყვარლები!..

ექვთიმე. შეუნდოთ!.. ხე-ხე... (შიშით უკან იყურება).

გოგოები. ხი-ხი-ხი!.. (ყვედანი სვამენ).

არჩილ. შენ, ექვთიმე, ერთ წამს ძამაცად მეჩვენე!.. იცოდე: თუ ცოლმა ერთხელ-და-ერთხელ დაიჩათინა ქმარი, სულს აღარ ამოადგმევინებს: შეაჯდება და პანჩურით გაბეთქავს!..

გოგოები. ხი-ხი-ხი!..

ექვთიმე. ხე-ხე-ხე... მართალია, მართალი!..

არჩილ. გეტყობა, თავიდანვე ფეხ-ქვეშ მოსდებიხარ ცოლს და...

ექვთიმე. (დგინით შეხურებული). ძალიან სცდები!.. მე ეხლა ცოლისა-კი არ მეშინიან,—მის დავიდარაბას ვეიდები!..

არჩილ. საქმეც მაგაშია!.. ჩემი ცოლიც აქ არის, მაგრამ აინუშიც არ მომაქვს!.. ერთხელ უნდა მოსტეხო ცოლი, რომ ვაჟკაცად იგრძნოს თავისი ქმარი!..

ექვთიმე. მართალია, მართალი!.. ხე-ხე...

არჩილ. თუ ცოლი აქ შემოგესწრო და გითხრა რამე, პირდა-პირ ბოთლს წამოუვლე ხელი!.. ხა-ხა-ხა!..

ექვთიმე. ხე-ხე-ხე!..

გოგოები. ხი ხი-ხი!..

არჩილ. ნახე, როგორ მორბილდება!..

ექვთიმე. სწორედ!.. ხე-ხე...

არჩილ. მაშ გაუმარჯოს თავისუფლებას!..

ექვთიმე. გაუმარჯოს, გაუმარჯოს!.. (სვამენ).

(შეშფოთდის დიზა და კაოტებული შედგება).

ლიზა. ახ!..

ექვთიმე. (ჩუმად). ვაიმე!..

ლიზა. ექვთიმე!..

არჩილ. (ჩუმად). ლაჩარო, ძონძო!..

ლიზა. ეს რა ამბავია!..

ექვთიმე. (ბურტყუნებს). შენი საქმე არ არის!..

ლიზა. გამოსწი, გამოეთრიე!..

არჩილ. (ჩუმად). მკვახედ, მკვახედ!..

ექვთიმე. გასწი აქედან, მომშორდი... მე... ვაჟკაცი ვარ... ქმარი!..

არჩილ. (უსასინებს). ყოჩაღ, ყოჩაღ!..

ლიზა. (დაცინვით ფორნეტს მიაჩერებს). ვაჟკაცი!.. ხა ხა...

არჩილ. ომი არ წააგო!..

ექვთიმე. მაშ გიჩვენებ მე შენ!.. (წამოუვლებს ბოთლს ხელს. დიზა წიგნიდით კარბის. ყვედანი ძალზე იცინიან).

არჩილ. ხა-ხა-ხა!.. ვაშა, ვაშა!.. ერთი-ორჯერ ეგრე უჩვენე შენი ვაჟკაცობა და ცხვირი მომჭერ, თუ საყვარლებს თავი არ დაანებოს!.. აბა, კიდევ დავლიოთ!.. (ასხამს). (აჩქარებული ნაბიჯით შეშფოთდის თამარ და უცებ შედგება)

არჩილ. ა-ა, თამრიკო!.. კარგ დროს!..

(შეშფოთდიან სანდრო, ვიქტორი, სარდიონი და დიზა; ყვედანი თამარის სიახლოვეს გაწერდებიან და კაოტებული უყურებენ არაჩვეულებრივ სურათს).

არჩილ. (სამსე ჭიქას მიუტანს თამარს). მე ვსვამ სადღეგრძელოს ამ ორი ქალისას... მათი პატიოსნება ნუ მოაკლოს ჩვენს ცოლებს!.. ალავერდი შენთან, თამრიკო!..

(თამარ გაშტერებული დგას და ჭიქას არ ართმევს).

ლიზა. (ალერსით). ექვთი, აქ მოდი...

ექვთიმე. (ჩუმად ირჩიდს). ხე-ხე-ხე... „ექვთი“!..

არჩილ. (ექვთიმეს ჩუმად). აკი გითხარ!.. შინ რომ მიიყვანო, სცემე!..

ექვთიმე. ხე-ხე... არგებს?!..

არჩილ. უებარია!.. ეხლა-კი წადი, გაჰყევ!.. (ექვთიმე მივა დიზასთან და ერთად კვდენ).

არჩილ. (ისევ თამარს მიუახლოვდება). მაშ, როგორ, თამრიკო?!.. სადღეგრძელოს არ იღებ?! (თამარ შუბლ-შეკრული გაწვდიდ ჭიქას უეურებს). რას იზამ?!.. (ჭიქას დასდგამს მაგიდაზე და გოგოებს). უკაცრავად თქვენთან, ქალებო!.. ეხლა პატიოსანი საზოგადოება იკრიბება და თქვენთვის აქ ადგილი აღარ არის... ნახვამდის!.. (გოგოები დარცხვენით გარბიან. ირჩიდ თამარს მიუახლოვდება, დინჯს შემოიურის და თვალებში შეჰეურებს. უცებ გადიხარხარებს). ხა-ხა-ხა!.. მობძანდით, მობძანდით! (მაგიდასკენ ხელებით უჩვენებს). ამ გოგოებით მოშხამული ჰაერი განიწმინდა!.. (ჰაერში ჯვარს გამოსახავს). ეხლა პატიოსნურად დავსხდეთ და გავგრძოთ!.. მოდი, მოდი, თამრო... (მკლავში ხელს წაავლებს და მიჰყავს). მეც მომწყინდა მუდმივი შრომა და ცოტა ვიცელქე... არა უშავს-რა!.. დავსხდეთ... სარდიონ, მოდი, კაცო!.. (ყვედანი ამოძრავდებიან. სანდრო, ვიქტორი და ვიქტორ თავიანთ მაგიდასთან სხდებიან. ირჩიდი დასვამს თამარს და გვერდით მოუჯდება). არა, ესე არა!.. (სარდიონს მკლავში ხელს წაავლებს, მიიყვანს და დემონსტრატიულად მიუსვამს თამარს მარცხნივ). შენ მარცხნივ!..

სარდიონ. (ირჩიდს გვერდში ოხუნჯურად ცერს წაჭერავს და ეცინინდება). ხე-ხე!.. შენცა გცოდნია ცელქობა?!.. ხე-ხე...

არჩილ. ცოტა პატიოსნებაზე ხელი უნდა აიღო, თორემ დიდი შნო არ უნდა ამ ცელქობას... (თამარს მეორე მხრიდან მოუჯდება და დვინოს დასხავს).

ვიქტორ. (სანდროს ჩუმად). შენ არაფრის სუნი არ მოგდის?!..

სანდრო. არა!..

არჩილ. (ჭიქას ასწევს). ღმერთმა აცოცხლოს ის, ვინც საუკეთესო სადღეგრძელოს იტყვის!..

სანდრო. (ვიქტორს). აბა ჰკითხე, ჩვენც შეგვიძლიან მონაწილეობა მივიღოთ!..

ვიქტორ. (ირჩიდს). ჩვენც შეგვიძლიან?

არჩილ. რასაკვირველია!..

სანდრო. (ადგება და ჭიქას ასწევს). ღმერთმა აცოცხლოს ის კაცი, რომელმაც ზნეობრივი უკანონობით დასთრგუნა უზნეო კანონიერება და მით განამტკიცა უზნეო უკანონობა!..

არჩილ. (წამოხტება). ვაშა, ვაშა!.. ეს სადღეგრძელო მე მეკუთვნის, ყმაწვილებო!.. ალავერდი ჩემთან!..

სანდრო. მოითმინეთ!..

არჩილ. უკაცრავად... მგონი, უდროოდ გავაწყვეტინეთ!.. (ჯდება).

სანდრო. დიახ!.. ღმერთმა ახაროს ის ხავერდის მსგავსი ყვავილი, რომელიც ამოცენებულა ქალის მარცხენა მკერდზე მეგობართა საყნოსავად!..

არჩილ. (სარდიონს). ეს შენ გეკუთვნის და პასუხიც შენ გაეცი!..

*) იხ. სურათებიანი დამატება № 58.

დ. ზ. სარაჯიშვილი მეუღლით, ახალგაზდობაში.

სარდიონ. (არეული). მე?!.. არ მესმის!..

არჩილ. არ გესმის, ჰკუა-ნაკლებო მოწაფევ?!.. (მივა და ყურს აუწევს).

(ეკვანი წამოიშალებიან).

სარდიონ. ეს რას ნიშნავს?!.. მე...

თამარ. რას შვრები, არჩილ?!..

არჩილ. (სარდიონს). მერე, მერე!.. ჯერ თქვენს მაგივრად მადლობა გადავუხადო... (სამსე ჭიქით მიგა სანდროსთან). ღმერთმა იმოდენა ბრაზი მოჰკრიოს გესლიან ქვემძრომს, რომ თავის შხამში დაიხრჩოს!. (დაცლეს). ალავერდი თქვენთან, ბ. ქავთარაძევ!.. (ჭიქას გადაგდებს და სანდროს სიცილს გაუშლის).

(სასტუმროდან არეულობა. სანდრო არჩილისკენ გაიწევს, სხვები დაიჭერენ).

თამარ. არჩილ!..

სანდრო. (ძალით მიჭუკავთ გასაგდისკენ). ჩემს შურისძიებას ვერ-სად წაუხვალთ, ბ. ლომაურო!.. (გაჭუკავთ).

თამარ. არჩილ, ეგ რა ჩაიდინე!.. წავიდეთ სახლში!..

არჩილ. მე სახლი აღარა მაქვს!..

(შემოდის ვიქტორ).

ვიქტორ. ქავთარაძე ხმალში გიწვევს, არჩილ!..

არჩილ. გადაეცი, ბ. ქავთარაძეს, რომ ტყუილად თავს ნუ იწუხებს!.. იმან დამსახურებული ჯილდო მიიღო, ხმალში პამპლაუკობაზე-კი უარს ვაცხადებ! (ვიქტორ გადის).

თამარ. წავიდეთ აქედან, შენი ჭირიმე!..

არჩილ. კარგად მომიალერსე, იქნება გასჭრას!..

თამარ. (მოეხვევა). წავიდეთ, გენაცვალე, ჩემო არჩილ!..

არჩილ. არა,—მოიდი ამ ხესთან: ხვევნა-კოცნას აქა ხარ დაჩვეული!

თამარ. (თვალებზე ხელებს მიიფარებს). ღმერთო ჩემო!..

არჩილ. არც ეხლა გამოსტყდები, ფლიდო!..

თამარ. (ტირიდით დაიბოჭებს). ოღონდ წამომყევ შინ და რაც გინდა, ის მიყავ!..,

(შემორბის ვიქტორ).

ვიქტორ. თუ ღმერთი გწამს, წადი აქედან, არჩილ!.. სანდრო არ შეგარჩენს!..

თამარ. (წამოხტება). არჩილ, წავიდეთ!..

არჩილ. (ჯდება). მაგ ქარაფშუტას ეგონება, რომ შემეშინდა!..

(კულისებიდან ისმის ბლდაძუნის ხმაურობა. სანდროს ხმა: „რას მეჯაჯურებით... ხომ არ შეგეშვა“)!..

ვიქტორ. თუ ღმერთი გწამს, წადი!..

თამარ. შენი ჭირიმე, არჩილ!..

არჩილ. აქა ვრჩები!..

(შემოდის სანდრო; ახლა მოსდევენ აფიცერი და სარდიონი).

სანდრო. (მივა პირდაპირ არჩილთან. არჩილი დინჯად წამოდგება). უარს აცხადებთ ხმალში გამოსვლაზე?

არჩილ. უკვე შემოკითვალეთ!..

სანდრო. გადაჭრით?!..

არჩილ. მთლად!..

(სანდრო უცებ ამოიღებს რევოლვერს, დაახლოს არჩილს გულში, მიბრუნდება და კაკვ. არჩილ დაბარბაცდება, მაგრამ თავს შეიმაგრებს და ცალი ხელით მაგიდას დაებჯინება. ეკვანი მისცვივდებიან. შემორბის აგრედვე შეშინებული მსახური).

თამარ. (ტირიდით მოეხვევა). არჩილ!..

არჩილ. (ხელსა ჭკრავს). მრუშო!..

(თამარ მუხლებზე დაეცემა და ქვითინებს. არჩილს გული მისდის და იქცევა, მაგრამ იქ მეოთხი იჭერენ).

აფიცერი. საავადმყოფოში!..

(ეკვანი ასწევენ და მიდიან).

ფარდა.

მოქმედება მეოთხე

ოთახი კატო ლომაურის საცოლეში. ღარიბულად, მაგრამ სუფთად მოწყობილი. მოზრდილი რგვალი მაგიდა, სავარძელი, სკამები, პიანინო.

(კატო ადგება და ასუფთავებს იქაურობას. მერე მოიხსნის წინსაფარ მანდილს. გაიტანს მეორე ოთახში და ისევ ჩქარა ბრუნდება. მიუჯდება მაგიდას და სქელ რვე-

ტოლენცო ტოკაკი, ალბანეთის დროებით მთავრობის მოთავე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულში სწერს. თვალი უშტერდება, წერს სწუვეტს. ადგება და გაიყვ-გამოიყვლის).

კატო. შეცდომები კი არ მომივიდეს თარგმანში... ყურადღება დაფანტული მაქვს... (სათს დახედავს). ელიკოც ჩქარა უნდა დაბრუნდეს... (ისევ ჯდება და სწერს).

(შემოდის ბალდიძე).

ბალდიძე. უკაცრავად!..

კატო. (შეკრთება და წამოდგება). თქვენა ბძანდებით?!.. აღარ ვიცი, პირზე როგორ შემოგხედოთ!..

ბალდიძე. ეგრე რამ შეგაწუხათ?!..

კატო. ხომ ვიცი, რისთვისაც მობძანდით!..

ბალდიძე. ხე-ხე... შემცდარი ბძანდებით, შემცდარი...

კატო. ორი თვის ქირა ჯერაც არ მოგვიცია,—რა დიდი გამოცნობა უნდა!..

ბალდიძე. აკი მოგახსენეთ, შემცდარი ბძანდებით მეთქი!.. ქირის თხოვნა აზრადაც არ მომსვლია!..

კატო. ნუ თუ?!.. დაბძანდით!..

ბალდიძე. ეხ, ქალბატონო ეკატერინე, გაფუჭდა დროება, გაფუჭდა!.. (ჯდება). თქვენ ასე გგონიათ, რომ მე ქირის მეტი არა მაინტერესებს-რა!.. ვერა ვხედავ თქვენს გაჭირებას?!.. მე-კი გული არა მაქვს?!..

კატო. გმადლობთ!.. ამ ორიოდე კვირაში ჩაგაბარებთ...

ბალდიძე. (მწარედ). რა ხარ, ბალდიძევ?!.. სახლის პატრონი, მდგმურების შემაწუხებელი—სხვა არაფერი!..

კატო. უკაცრავად... მე მაგის თქმა არ მინდოდა!..

ბალდიძე. ქ. ეკატერინე, მე თქვენთან შემოვედი, როგორც მეზობელი... ოცი წელიწადია ადამიანური სიტყვა არ გამიგია!.. ეს კერძო ვექილობა ქურდებთან და დავიდარაბა ხალხთან მაჭერინებს საქმეს!.. მეც მინდოდა პატიოსნური სიტყვის გაგება თქვენი პატიოსანი პირიდან... მაგრამ... (დგება). დამავიწყდა, რომ თქვენ მთელი დღე შრომობთ...

კატო. არა უშავს-რა... დაბძანდით!..

ბალდიძე. ნუ მომერიდებით: წადი—წავალ... ხე ხე...

კატო. ისეთი საშურო არა მაქვს-რა...

ბალდიძე. (ჯდება). წადი-წავალ!.. დაჯექ-დავჯდები!.. ხე-ხე... იცით, რა არის მტრობა, ქ. ეკატერინე?!.. ოცი წელიწადია, რაც ცოლი მომიკვდა და მას აქეთ დავრჩი ესე!.. რომ იცოდეთ, რა შურის თვალით ვუყურებ თქვენს და ელიკოს ურთი-ერთობას, მეგობრობას!.. ბედნიერ კაცადა მთვლიან!.. ხე-ხე... დიდი შეძლება აქვსო!.. ხე-ხე... ღვთის წყალობით, შეძლება კარგი მაქვს, მაგრამ რაც შეეხება ბედნიერებას... ხე-ხე... აბა, მიბძანეთ: შეიძლება, მარტო კაცი ბედნიერი იყოს?!..

კატო. ძნელია მარტოობა!..

ბალდიძე. აბა შემომხედეთ, რასა ვგევარ!.. პირიდან სულ ღვინის სუნი ამომდის... რათა?—იმისთვის, რომ უბედური ვარ, და უბედური-კი იმისთვის, რომ მარტო!.. აბა ვინმე მეგობრულად ხელი გამომიწოდოს, თუ ოქროში არ ჩავსვა და მეც ადამიანობა არ დამეტყოს!..

კატო. ნუ თუ მეგობარი ვერ გაგიჩენიათ?!..

ბალდიძე. ხე-ხე... შეიძლება, რატომაც არა... ხე-ხე... მე ხომ ესეთი ბებრუცუნა ვარ და, წარმოიდგინეთ, ბევრი ქალი... ხე-ხე... მთავაზობს თავის მეგობრობას... ხე-ხე... აი, თქვენ გეცინებათ...

კატო. (იკბეჩს). სრულებითაც არა...

ბალდიძე. და მართალი-კია!.. მაგრამ არც ისეთი სულელი ვარ, რომ ვის გინდა-ვის ჩავაყარო ამოდენი ნაშრომი!..

კატო. (დამიდით). თქვენც ღირსეული აირჩიეთ.

ბალდიძე. ხე-ხე... ღირსეული!.. ადვილი სათქმელია... ხე-ხე... ვთქვათ—ავირჩიე!..

კატო. მერე იმასაც ჰკითხეთ.

ბალდიძე. ხე-ხე... ჰკითხე!.. ადვილი სათქმელია!.. ვთქვათ—ვკითხე!..

კატო. ჰო და გაიგებთ იმის სურვილსაც!..

ბალდიძე. ხე ხე... გაიგებ!.. ადვილი სათქმელია!.. რომ უარი მითხრას!..

კატო. თქვენ თქვენთვის, ის თავისთვის!..

ბალდიძე. ხე-ხე... ის თავისთვის!.. ხე-ხე... ადვილი სათქმელია!..

კატო. მაშ ის ხომ არ გეტყვით პირველი!..

ბალდიძე. პირველი!.. ხე-ხე...

კატო. მაშ როგორ გინდათ?!..

ბალდიძე. ისე რომ... ხე-ხე... არც მე ვუთხრა და არც იმან!.. ხე-ხე...

კატო. ხა-ხა-ხა!.. ეგ როგორ შეიძლება!..

ბალდიძე. (ტოტს მიეხეხება კატოსკენ). აი, ვთქვათ... თქვენისთანა მშვენიერი მეგობარი... ხე-ხე..:

კატო. როგორ?!..

ბალდიძე. (კიდევ მიეხეხება). ხელის გულზე გატარებდით... ოქროში ჩაგსვამდით...

კატო. (ადგება. დინჯად). ფულის ყოვლად შემძლებლობას იქამდის დაუბრმავებია თქვენი გონება, რომ თქვენზე გაჯავრებას ვერც-კი ვახერხებ!.. მიბძანდით, ბ. ბალდიძევ, და ამ კარებს აღარ გადმოაბიჯოთ!.. ფულს ჩქარა მიილებთ!..

ბალდიძე. (ადგება). ხე-ხე-ხე!.. ბალდიძევ, რა კაცი ხარ!.. (ბრაზ-მორეული). მეც მაგისთვისა ვწოვ ყველას სისხლს, რომ ადამიანად არავინ მაგდებს!.. ყველა ობობას მეძახის... დიახ!.. ნეტარებით ჩაგიყრით ყველას კლანჭებს!.. უსუსურ ბავშვს მოვგლეჯ დედის მკერდიდან და შხამიან ნესტარს ჩაუყრი ქორფა ტვინში!.. (კბეჩეებული) მომეცით ეხლავ სახლის ქირა, თორემ ყველაფერს ფანჯრიდან გადაგიყრით!.. (სკამებს დასტაცებს ხელს).

კატო. ქალაჩუნაკ, იპოვნე უვაჟკაცო სახლი?!..

ბალდიძე. ხე-ხე-ხე... რათა უვაჟკაცო!.. თქვენი ექიმი... ხე-ხე... განა კარგად ვერ-ვ ვაჟკაცობთ?!.. ხე-ხე... ერთი ეს არის, ნაკლებ სასყიდელს იძლევა, თორემ... ხე-ხე...

კატო. (ანთებული). გაეთრიე აქედან, ბილწო!..

ბალდიძე. ხე-ხე-ხე... ნუ სცხარობთ, ქალბატონო!.. ჯერ ღამე შორს არის და ექიმი მოსარჩლედ ვერ მოგესწრობათ!.. ხე-ხე...

(შემოდის კოტე გობიჩიძე).

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი. მადათოვის კუნძული, ტამბა „სორაპანი“